**ხელშეკრულება N138**
**სახელმწიფო შესყიდვის შესახებ**

ქ. თბილისი

18 ნოემბერი 2016 წელი

გამარტივებული შესყიდვა, „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-3 მუხლის პირველი პუნქტის „ს[1]" ქვეპუნქტის შესაბამისად

ერთის მხრივ, **საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატი,** წარმოდგენილი მისი საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორის ალექსანდრე მირიანაშვილის სახით (შემდგომში შემსყიდველი)
**მისამართი:** ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქუჩა N1
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 203851377

და მეორეს მხრივ, **შპს „ფრანი",** წარმოდგენილი მისი დირექტორის ნიკოლოზ ფიროსმანიშვილის სახით (შემდგომში მიმწოდებელი),
**მისამართი:** თბილისი, აბუსერიძე-ტბელის ქ. N15.
**საიდენტიფიკაციო კოდი:** 401947293
**საბანკო რეკვიზიტები:** სს „თი-ბი-სი ბანკი", ბანკის კოდი: TBCBGE22, ა/ა: GE83TB7563136020100001
ვთანხმდებით შემდეგზე:

***მუხლი 1. ხელშეკრულებაში გამოყენებულ ტერმინთა განმარტებები***

1.1. „ხელშეკრულება სახელმწიფო შესყიდვის შესახებ" (შემდგომში _ „ხელშეკრულება") _ შემსყიდველსა და მიმწოდებელს შორის დადებული წინამდებარე ხელშეკრულება, რომელიც ხელმოწერილია მხარეთა მიერ, მასზე თანდართული ყველა დოკუმენტით.

1.2. „ხელშეკრულების ღირებულება" _ საერთო თანხა, რომელიც უნდა გადაიხადოს შემსყიდველმა მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების სრული და ზედმიწევნით შესრულების შემდეგ, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

1.3. „შემსყიდველი" – ორგანიზაცია, რომელიც ახორციელებს შესყიდვას.

1.4. „მიმწოდებელი" – პირი, რომელიც ახორციელებს შესყიდვის ობიექტის მიწოდებას ხელშეკრულების ფარგლებში.

***მუხლი 2. ხელშეკრულების საგანი***

საქართველოს ეროვნული უშიშროების საბჭოს აპარატის 2016 წლის სახელმწიფო ბიუჯეტით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში 100 (ასი) ცალი ბლოკნოტის (შემსყიდველის ლოგოთი - კლიშე) (შემდგომში საქონელი) შესყიდვა (CPV- 22816100).

***მუხლი 3. ხელშეკრულების ღირებულება***

3.1. ხელშეკრულების ჯამური ღირებულება შეადგენს **740,00 (შვიდასორმოცი ლარი და 00 თეთრი) ლარს.**

3.2. ერთეულის ღირებულება შეადგენს 7,40 (შვიდი ლარი და 40 თეთრი) ლარს.

3.3. ხელშეკრულების ღირებულება შეიცავს მიმწოდებლის მიერ შესყიდვის ობიექტის მიწოდებასთან დაკავშირებულ ყველა ხარჯს და საქართველოს კანონმდებლობით დადგენილ გადასახადებს.

***მუხლი 4. საქონლის მოწოდების ვადები და ადგილი***

4.1 მიმწოდებელმა წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ბლოკნოტების მიწოდება შემსყიდველისთვის უნდა განახორციელოს ხელშეკრულების ძალაში შესვლიდან 2016 წლის 30 ნოემბრის ჩათვლით.

4.2 შესყიდვის ობიექტის მიწოდების ადგილია: ქ. თბილისი, აბდუშელიშვილის ქუჩა N1.

***მუხლი 5. საქონლის ხარისხი და გარანტია***

მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მიწოდებული საქონელი იქნება ახალი, ხარისხიანი და შეესაბამება შემსყიდველის მოთხოვნებს.

*მუხლი 6. ხელშეკრულების შესრულების კონტროლი*

6.1. შემსყიდველი უფლებამოსილია ხელშეკრულების შესრულების ნებისმიერ ეტაპზე განახორციელოს მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულებისა და ხარისხის კონტროლი (ინსპექტირება).

6.2. მიმწოდებელი ვალდებულია საკუთარი ხარჯებით უზრუნველყოს კონტროლის (ინსპექტირების) შედეგად გამოვლენილი ყველა დეფექტის ან ნაკლის აღმოფხვრა.

*მუხლი 7. შესყიდვის ობიექტის მიღება-ჩაბარების წესი*

7.1. ხელშეკრულებით გათვალისწინებული შესყიდვის ობიექტის მიღება განხორციელდება, შემსყიდველისა და მიმწოდებლის უფლებამოსილი წარმომადგენლების მიერ მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

*მუხლი 8. ანგარიშსწორება*

8.1. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება საქონლის მიწოდების შემდეგ, მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან და მიმწოდებლის მიერ შემსყიდველისთვის სასაქონლო ზედნადების და ანგარიშფაქტურის წარდგენიდან არაუგვიანეს 10 (ათი) სამუშაო დღის განმავლობაში.

8.2. ანგარიშსწორება განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორების ფორმით.

8.3. ანგარიშსწორება განხორციელდება ლარებში.

8.4. საავანსო ანგარიშსწორება არ გამოიყენება.

*მუხლი 9. ფორს-მაჟორი*

9.1 ხელშეკრულების რომელიმე მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობა არ განიხილება ხელშეკრულების პირობების დარღვევად თუ შესრულების შეფერხება ან მისი ვალდებულებების შეუსრულებლობა არის ფორს-მაჟორული გარემოებების შედეგი;

9.2 ფორს-მაჟორული გარემოების დადგომის შემთხვევაში მხარემ, რომლისათვისაც შეუძლებელი ხდება ნაკისრი ვალდებულების შესრულება, დაუყოვნებლივ უნდა გაუგზავნოს მეორე მხარეს წერილობითი შეტყობინება ასეთი გარემოებების და მათი გამომწვევი მიზეზების შესახებ.

*მუხლი 10. მხარეთა უფლება–მოვალეობები.*

10.1 შემსყიდველს უფლება აქვს მიიღოს მიმწოდებლის მიერ ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

10.2 შემსყიდველი ვალდებულია გადაუხადოს მიმწოდებელს ხელშეკრულების ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების შესაბამისად;

10.3 მიმწოდებელი ვალდებულია ჯეროვნად, კეთილსინდისიერად, დათქმულ დროსა და ადგილას მიაწოდოს ხელშეკრულებით გათვალისწინებული საქონელი;

*მუხლი 11. მხარეთა პასუხისმგებლობა ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობისათვის*

11.1 მხარეები პასუხს აგებენ ერთმანეთის წინაშე მათ მიერ ამ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობისთვის ან არაჯეროვნად შესრულებისთვის;

11.2 ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულების შესრულების ვადის გადაცილების შემთხვევაში, მხარეს ეკისრება პირგასამტეხლო ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე შეუსრულებელი ვალდებულების ღირებულების 0,02%-ის ოდენობით;

11.3 მიმწოდებლის მიერ ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შეუსრულებლობის, ნაწილობრივი შესრულების ან არაჯეროვანი შესრულების მიზეზით ხელშეკრულების შეწყვეტის შემთხვევაში შემსყიდველს უფლება აქვს მიმწოდებელს დააკისროს პირგასამტეხლო შესასრულებელი (დარჩენილი) ვალდებულების შესაბამისი ღირებულების 10%-ის ოდენობით.

*მუხლი 12. ხელშეკრულების ძალაში შესვლა და მოქმედების ვადები*

ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2016 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

*მუხლი 13. ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა და ხელშეკრულების შეწყვეტა*

13.1. ხელშეკრულებაში ნებისმიერი ცვლილების, დამატების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ წერილობითი ფორმით, მხარეთა შეთანხმების საფუძველზე, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

13.2 ხელშეკრულების პირობების, მათ შორის ფასის შეცვლა დაუშვებელია, თუ ამ ცვლილების შედეგად იზრდება ხელშეკრულების ჯამური ღირებულება ან უარესდება ხელშეკრულების პირობები შემსყიდველისთვის, გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა ხდება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

13.3 საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებულ შემთხვევაში, ხელშეკრულების ჯამური ღირებულების გაზრდა დაუშვებელია ხელშეკრულების ღირებულების 10%-ზე მეტი ოდენობით.

13.4 ხელშეკრულების ერთ-ერთი მხარის მიერ ხელშეკრულების პირობების შეუსრულებლობის შემთხვევაში მეორე მხარე უფლებამოსილია ცალმხრივად მიიღოს გადაწყვეტილება ხელშეკრულების შეწყვეტის შესახებ.

13.5 თითოეული მხარე ვალდებულია 13.4 პუნქტით გათვალისწინებული გადაწყვეტილების მიღების განზრახვის შესახებ არანაკლებ 2 კალენდარული დღით ადრე წერილობით ან კომუნიკაციის ელექტრონული საშუალებების გამოყენებით შეატყობინოს მეორე მხარეს.

13.6 ხელშეკრულება ასევე შეიძლება შეწყდეს მხარეთა ინიციატივით, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე.

*მუხლი 14. დავათა განხილვის წესი*

მხარეები შეეცდებიან ურთიერთმოლაპარაკების საფუძველზე გადაჭრან წინამდებარე ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი დავები. შეთანხმების მიუღწევლობის შემთხვევაში, დავა განიხილება სასამართლოს მიერ საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

*მუხლი 15. დამატებითი პირობები*

15.1 არც ერთ მხარეს არა აქვს უფლება, მეორე მხარისაგან წერილობითი თანხმობის გარეშე თავისი უფლებები ან ვალდებულებანი გაასხვისოს ან გადასცეს მესამე პირებს.

15.2 მხარეები თანხმდებიან, რომ ის ურთიერთობანი, რომელიც არ იქნა რეგულირებული წინამდებარე ხელშეკრულებით, რეგულირებული უნდა იყოს საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

15.3 ხელშეკრულება შედგენილია ქართულ ენაზე, ორი თანაბარი იურიდიული ძალის მქონე ეგზემპლარად (ერთი ეგზემპლარი მიმწოდებელს, ერთი ეგზემპლარი შემსყიდველს).

*მხარეთა ხელმოწერები:*

| | |
|---|---|
| შემსყიდველის მხრიდან: | მიმწოდებლის მხრიდან: |
| **ალექსანდრე მირიანაშვილი** | **ნიკოლოზ ფიროსმანიშვილი** |
| _____ | _____ |
| საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის დირექტორი | შპს ,,ფრანი"-ს დირექტორი |

ხელწერილი ინტერესთა კონფლიქტის არარსებობის შესახებ

2016 წლის 18 ნოემბერი

ვადასტურებთ, რომ ჩვენი მონაწილეობა 2016 წლის 18 ნოემბრის N138 ხელშეკრულების გაფორმების პროცესში არ ეწინააღმდეგება ,,სახელმწიფო შესყიდვების შესახებ" საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მოთხოვნებს და ინტერესთა კონფლიქტში არ ვიმყოფებით ხელშეკრულებაში მითითებულ მიმწოდებელთან (შპს ,,ფრანი"):

ხელშეკრულების დადებაზე უფლებამოსილი პირი:

საფინანსო-სამეურნეო დეპარტამენტის

დირექტორი ---------- ა. მირიანაშვილი

მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირი:

საფინანსო-სამერუნეო დეპარტამენტის მთავარი მრჩეველი

შესყიდვების დარგში ---------- ო. პეტრიაშვილი